

შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის.



. შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს უცხოური საწარმოს ფილიალის „შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.



შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება
ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2019 წლის 28 სექტემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

უცხოური საწარმოს ფილიალი „შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

ორგანიზაცია „შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში“ არის უცხოური საწარმოს ფილიალი, რეგისტრაციის თარიღი 20/05/2015. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვარი, კორ. 13ა, ბინა N2. კომპანიის დამფუძნებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფიხტნერ და კო.კგ, გერმანია (HRA 9277)-100%, დირექტორი CG6W05G83, უვე არმონის, გერმანია (CG6W05G83).

„შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში“-ს შემოსავლის ძირითადი წყაროა ფიხტნერის სათაო კომპანიის მომსახურება. ფიხტნერის სათაო კომპანია არ განიხილავს წარმომადგენლობას მუდმივ დაწესებულებად.

ფიხტნერის სათაო კომპანიასა და კლიენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ფიხტნერის სათაო კომპანია ვალდებულია გარკვეულ პროცედურებს დაასწროს თავისი წარმომადგენელი. მაგალითად, სამუშაოთა შესრულების პროცესს, ქარხნული წუნის გამოვლენის ტესტებს (Factory Acceptance Tests), აღჭურვილობის შემოწმების პროცესს და სხვა.



შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმომადგენლობა დაარსდა იმ მიზნით, რათა ადგილზე დაქირავებული ყოფილიყო
პერსონალის ნაწილი, რომელიც შეაგროვებდა მონაცემებს და მიაწოდებდა მათ სათაო
ოფისს, აგრეთვე დაესწრებოდა სხვადასხვა სახის შეხვედრებსა და პროცედურებს.
დამატებით, წარმომადგენლობა (დაქირავებული იურისტის მეშვეობით) აწვდის ფიხტნერის
სათაო კომპანიას საკონსულტაციო მომსახურებას სამართლებრივ საკითხებთან
დაკავშირებით.

კომპანიის საქმიანობის გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია სხვა ორგანიზაციებისთვის
მომსახურების მიწოდებასთან.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალოსაწარმოებისათვის“-ის
მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე
დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის
ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა
და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი
შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და
ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის,
აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.
პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, ასეთი კომპანიას არ გააჩნია.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო
უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან
რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ
ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის
უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას
წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით
განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ
შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ
სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით.
თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი
ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.
გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის
სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ
როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება
აღარ არის მოსალოდნელი.

. შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე .

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.


მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დირექტორი
ხელმოწერა



შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამიჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება


ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

საწარმო უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებს თავდაპირველად ასახავს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც იყენებს ოპერაციის თარიღისთვის, უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელ სავალუტო კურსს დადგენილს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაყვანილია საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.



შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
		2018	2017
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	61,340	56,360
სავაჭრო მოთხოვნები		-	-
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2	732,028	3,774
მარაგები		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	3	8556.03	5,196
სულ მოკლევადიანი აქტივები		801,924	65,330
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,470	2,575
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,470	2,575
სულ აქტივები		806,394	67,905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	15,872	2,634
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	6	71,572	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	7	800,381	-
სხვა ვალდებულებები		-	-
დირექტორი ხელმოწერა			

შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	887,825	2,634
--------------------------------	---------	-------

სულ ვალდებულებები	887,825	2,634
-------------------	---------	-------

საკუთარი კაპიტალი	8	91
-------------------	---	----

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	(81,521)
-------------------------------	---	----------

სულ საკუთარი კაპიტალი	(81,430)	65,271
-----------------------	----------	--------

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	806,394	67,905
--	---------	--------

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი 2018

მომსახურების გაწევიდან	10	2,009,235
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
ნეტო ამონაგები		2,009,235

რეალიზებული პროდუქციის		-
თვითღირებულება		-
საწყისი მარაგი		-
შესყიდვა		-
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგი		-
საერთო მოგება		2,009,235.00

სხვა შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება		

დირექტორი
ხელმოწერა

შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		(1,770,636)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,575)
საპროცენტო შემოსავალი:		-
საპროცენტო ხარჯი		-
იჯარის ხარჯი	11	(214,403)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(140,239)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,126,852)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>(117,617)</u>
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-29082.64
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(146,700)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		65,271
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(81,430)



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
		2018	2017
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	61,340	56,360
სავაჭრო მოთხოვნები		-	-
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2	732,028	3,774
მარაგები		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	3	8556.03	5,196
სულ მოკლევადიანი აქტივები		801,924	65,330
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,470	2,575
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,470	2,575
სულ აქტივები		806,394	67,905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	15,872	2,634
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	6	71,572	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	7	800,381	-
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		887,825	2,634
სულ ვალდებულებები		887,825	2,634
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	(81,521)	65,180
სულ საკუთარი კაპიტალი		(81,430)	65,271
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		806,394	67,905

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი 2018

მომსახურების გაწევიდან	10	2,009,235
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
ნეტო ამონაგები		2,009,235

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-
საწყისი მარაგი		-
შესყიდვა		-
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგი		-
საერთო მოგება		2,009,235.00

სხვა შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,770,636)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,575)
საპროცენტო შემოსავალი:		-
საპროცენტო ხარჯი		-
იჯარის ხარჯი	11	(214,403)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(140,239)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,126,852)

საოპერაციო მოგება		(117,617)
--------------------------	--	------------------

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-29082.64
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(146,700)
განგრძობითი ოპერაციებიდან		

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		65,271
--	--	---------------

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-
--	--	----------

კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(81,430)
--	--	-----------------

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

ა. ფულადი ნაშთი სალაროში -17

ბ. ფულადი ნაშთი ეროვნული ვალუტის საბანკო ანგარიშზე -27535

გ. ფულადი ნაშთი უცხოური ვალუტის საბანკო ანგარიშზე, ექვივალენტი ლარში
33787

2. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

შედგება მომსახურების მომწოდებლებისათვის ავანსად გადახდილი თანხებისაგან.

3. სხვა მიმდინარე აქტივები

თანამშრომლების დაზღვევაზე ავანსად გადახდილი თანხა 1 840

საწვავის ნაშთი 6716

საწვავის რეალიზაცია არ ხდება, გამოყენება იჯარით აღებული მანქანების
ექსპლუატაციისთვის. აქიდან გამომდინარე წლის ბოლოს არსებული საწვავის ნაშთი
მოხვედრილია სხვა მიმდინარე აქტივების გრაფაში.

4. ძირითადი საშუალებები

ქონება შედგება საოფისე ინვენტარისგან.

საწყისი ღირებულება 2018წ	2575
შემენა 2018 წელი	3740
ცვეთა 2018 წელი	1575
ნარჩენი ღირ-ბა 2018 წელი	4470



ვალდებულებები

5.სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოხდა მომდევნო წლის განმავლობაში

6.საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დღგ-ს ვალდებულებას რომელიც წარმოიშვა წლის ბოლოს და გადახდა მოხდა მომდევნო წლის იანვარში.

7.გამოუმუშავებელი შემოსავალი

ეს მუხლი შედგება ავანსად მიღებული თანხებისაგან. მომსახურების მიწოდება მოხდა მომდევნო წლის განმავლობაში.

8) საკუთარი კაპიტალი - კაპიტალში ჩადებული თანხა 91

9) გაუნაწილებელი ზარალი - ზარალი (81851)

10. ამონაგები

ამონაგები შედგება შემოსავლებისგან რომელიც დაკავშირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფიხტნერ და კო.კგ, გერმანიისათვის გაწეულ მომსახურებასთან.

შპს ფიხტნერ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

12. ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების ჩაშლა

მივლინების ხარჯები	14,354.0
საწვავის ხარჯები	33,019.8
ავტომანქანის ხარჯები	23,094.6
საკანცელარიო	843.4
სხვა საერთო ხარჯი	25,845.1
მიღებული მომსახურებები	27,255.6
ბანკის ხარჯი	363.3
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	15,427.8
ქონების გადასახადი	35.2

140,239

